# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.716)

23-30 იანვარი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## პირობა საქმედ იქცევა?!



ფ3.2



ფ3.3

## „ევროკავშირი, ეს არის თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის სივრცე!“



ფ3.5

## გამოიცა ახალი ალმანახი




ფ3.6

# წყალმომარაგების 820 000 ლარიანი პროექტის განხორციელება დაიწყო

## „თოჯინები“ მოჯაჰედისთვის - მონათა ბაზარი და თანამედროვე „შინდლერები“



ფ3.7

დღეს „ისლამური სახელმწიფო“ ქალებით ვაჭრობით დიდ შემოსავალს იღებს. ზოგიერთი მონაცემით, ის შავ არქეოლოგიაზე სარფიანია...

“გატაცებული ბიჭების და გოგონების (1-9 წლამდე ასაკის) ფასი 165 დოლარს უტოლდება, მოზარდი გოგონებისა - 24 დოლარს, ხოლო ქალების (20-30 წლამდე ასაკის) - 85 დოლარს. ჩვენი მონაცემებით, დღეს ისლამურ სახელმწიფოს”5 000 ქალი ჰყავს ტყვედ, რომლებიც მონებად აქციეს”.

ზეინაბ ბენგური, გაეროს საგანგებო წარმომადგენელი სექსუალური ძალადობის საკითხებში




ფ3.4

## გვემუქრება თუ არა „ღორის გრიპის“ მორიგი ეპიდემია?

პაატა იმნაძე: „ამ ვირუსს „ღორის გრიპი“ კი არა, H1N1 პანდემიური ჰქვია. იმის გათვალისწინებით, რომ ზამთარია, ვირუსული დაავადებით ინფიცირებულთა რიცხვის მომატება არავისთვის არ უნდა იყოს უცხო. არ არის გასაკვირი, არც გრიპის წამლებზე მოთხოვნების ზრდა. H1N1 არაფრით განსხვავდება სხვა ვირუსებისგან. გრიპი არის გრიპი, კლინიკურად ყველა ერთნაირია. შეიძლება მოკლას ნებისმიერმა სხვა ვირუსმაც და არ იყოს ის, როგორც თქვენ უწოდებთ — „ღორის გრიპი“.

## ჩავეხუტოთ ერთმანეთს!



ფ3.8

## გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

*2016 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.*

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

# პირობა საქმედ იქცევა?!

ქალაქ დედოფლისწყაროს ვაჩნაძის და ტაბიძის ქუჩის მაცხოვრებლები მუნიციპალიტეტის გამგებელს პირობის შესრულებას სთხოვენ. როგორც ადგილობრივებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, გასულ წლებში გამგებლისგან მიიღეს დაპირება, რომ გზის მოასფალტება და გარე განათების მოწყობა მოხდებოდა.

**„წელიწადნახევარია გვპირდებიან, რომ მოწესრიგდება, მაგრამ ამ დრომდე ვერ მოხერხდა. განცხადებებიც რამდენჯერმე დავწერეთ, ხელმოწერებიც შევაგროვეთ, მაგრამ, ამაოდ... ტელეგადაცემაში სტუმრობისას გამგებელს დავუსვით საკითხი და მაშინ ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაგვპირდა, რომ მოგვარდებოდა. გულდასაწყვეტია, როცა ვიგებთ, რომ სოფლებში, მათ შორის მკვეთრად მოწყვეტილ დასახლებებშიც კი გაკეთდა გარეგანათებები და ქუჩების კეთილმოწყობა, ქალაქის ცენტრში კი კვლავ ჩაბნელებული ქუჩებია და გზებზე დიდი ორმოებია. ძალიან გვინდა, ამ ქუჩებსაც მიხედონ. მისასალმებელია, რომ სოფლებში საქმე კეთდება, მაგრამ ქალაქმა რა დააშავა. ნაგვის გატანის პრობლემაც სერიოზულად დგას. ამხელა ქუჩაა და მხოლოდ ერთი ურნა გვაქვს. იმის გამო რომ დასუფთავების სამსახური გატანას აგვიანებს, არასაკმარისია. რამდენჯერ ვთხოვეთ დუღაშვილს, რომ ან ერთი ურნა კიდევ დაამატონ, ანდა უფრო ხშირად გაიტანონ, მაგრამ არც ამ პრობლემას ეშველა. ურნას სახურავი არ აქვს, ძაღლები და კატები შიგ ძვრებიან და ნაგავს სულ გზაზე ფანტავენ. წვიმა რომ მოვა, საშინლად ატალახდება ხოლმე, დიდი ნიაღვარი მოდის. უბანი ჩაბნელებულია და უამრავი მაწანწალა ძაღლია, შებინდების შემდეგ ბავშვებს გარეთ ველარ ვუშვებთ, ჩვენც ძალიან გვეშინია,“** - წუხს ადგილობრივი მოსახლეობა.



მოსახლეობის თხოვნა „შირაქმა“ დედოფლისწყაროს გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს გააცნო. გამგებელი ამბობს, რომ დაპირებების გაცემის დროს თვითმმართველობის არჩევნები იყო და ყველა დაპირების ერთბაშად შესრულება ვერ მოხერხდა. თუმცა, ამ დროისთვის ვაჩნაძის ქუჩის სარეაბილიტაციოდ 190 871 ლარი უკვე გამოყოფილია და ორ-სამ თვეში მისი მოასფალტება უნდა დაიწყოს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: **„მინდა დავამშვიდო ვაჩნაძის ქუჩის ყველა მაცხოვრებელი, აღნიშნული ქუჩის რეაბილიტაციისთვის უკვე გამოყოფილი გვაქვს 190 871 ლარი. მისი პროექტი გამგეობას უკვე შეძენილი აქვს. გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყება აქტიური სამუშაოები და ვაჩნაძის ქუჩაზეც გვექნება ახალი და კარგი ასფალტის საფარი. ასე რომ, ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ჩვენ ვასრულებთ დაპირებებს. რაც შეეხება სოფლების კეთილმოწყობას, ალბათ დამეთანხმებით, რომ ამაში ცუდი არაფერია. კიდევ ერთხელ ვულოცავ ვაჩნაძის ქუჩის მაცხოვრებლებს და არა მარტო, მოგახსენებთ რომ, გაზაფხულიდან ახალი ასფალტის საფარი დაიგება გოგებაშვილის, გ. ტაბიძის, თამარის, ა. ნატროშვილის და სკოლის ქუჩებზეც. აქაც რთული ვითარებაა და ცენტრში მდებარე ქუჩებია.**

**რაც შეეხება დაპირებების შეუსრულებლობას, მინდა შეგახსენოთ, რომ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, როცა უფლებამოსილების შესრულებას შევუდექი, იმ წლის ბიუჯეტი უკვე მიღებული იყო. სწორედ ამიტომ, გაცემული დაპირებების შესრულება ძირითადად 2015 წლიდან დავიწყეთ და რა თქმა უნდა, წელსაც გავაგრძელებთ. ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით.**

**მინდა გითხრათ, რომ ნახევარ მილიონამდე, უფრო კონკრეტულად კი 408 360 ლარი მხოლოდ თამარის ქუჩაზე დაიხარჯება. აქ ორფენიანი, მაღალი ხარისხის ასფალტის საფარის დაგება მოხდება, რადგანაც ამ გზებზე კარიერიდან დიდი სატვირთო მანქანებით ქვიშის ტრანსპორტირება ხდება. ამ ქუჩის დასრულებით წრედი შეიკვრება და სადაც მძიმეწონიანი მანქანები ახლა დადიან, შემდეგ ეს დარეგულირდება, აიკრძალება და მათთვის განკუთვნილ გზებზე ივლიან. გაზაფხულზე, როცა საავადმყოფოს მშენებლობა დასრულდება, მის ეზოს და იქ მისასვლელ გზასაც მოვაწესრიგებთ. 208 000 ლარი გვაქვს გამოყოფილი სკოლის ქუჩის ასფალტსაფარის მოწყობისთვის. ეს გზა ასევე მოემსახურება, საპატრიარქოს სკოლას, კერძო სკოლა ბენაურს და ამ მონაკვეთით მოსარგებლე სხვა მოქალაქეებს. ამ ქუჩის მოწესრიგება მით უფრო აქტუალურია, რადგან როგორც იცით, მიმდინარე წელს საავადმყოფო აქ გადმოდის და ჯარის წყლიდან სკოლების და საავადმყოფოს მიმართულებით მოსახლეობა კომფორტული გზით ისარგებლებს“.**

ილია მარტყოფლიშვილი

## გიორგი კვირიკაშვილი - საქართველო ცდილობს განავითაროს ეკონომიკური კავშირები არამხოლოდ ევროკავშირთან, არამედ რეგიონის ქვეყნებთან, რუსეთის ჩათვლით

საქართველო ცდილობს განავითაროს ეკონომიკური კავშირები არამხოლოდ ევროკავშირთან, არამედ რეგიონის ქვეყნებთან, რუსეთიც ჩათვლით, - ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

კვირიკაშვილის თქმით, საქართველოს, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებს, სჭირდება ნაკლებად დაძაბული პოლიტიკური გარემო.

„ევროკავშირთან მნიშვნელოვან ეკონომიკურ კავშირებთან ერთად, ჩვენ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ჩვენს ყველა მეზობელთან, მათ შორის რუსეთთანაც, რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური დაძაბულობის შემცირება“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამასთან, პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმებსა და პროექტებზეც ისაუბრა.

“ჩვენ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განვახორციელეთ ინფრასტრუქტურისა და რკინიგზის მოდერნიზებისთვის. ვასრულებთ მაგისტრალის მშენებლობას. ვმუშაობთ საკმაოდ აქტიურად ჩვენს მეზობლებთან ერთად იმისთვის, რომ განვავითაროთ სამხრეთ კავკასიის რეგიონი. ყაზახეთთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან გვაქვს პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა. სარკინიგზო ხაზის შედეგად კომპანიებს, რომლებსაც ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით პროდუქციის ტრანსპორტირება ძვირი უჯდებათ, ხარჯები უმცირდებათ”, - აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, მომავალში იგეგმება ახალი პორტის აშენება ანაკლიაში და საგადასახადო სისტემის ლიბერალიზება.

“ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესოები ვართ მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით. ყველაზე დაბალი გადასახადების კუთხით ერთ-ერთი ქვეყანა ვართ. წელს ვაპირებთ მოგების გადასახადის გაუქმებას და საგადასახადო ადმინისტრირების კიდევ უფრო ლიბერალიზებას. ასევე ვგეგმავთ ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაბამისად მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას”, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე განაცხადა, რომ, საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ჩინეთთანაც დაიწყო.

## კახეთის პოლიციას ისევ გიორგი ბუბუნაური უხელმძღვანელებს

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტს ისევ 34 წლის გიორგი ბუბუნაური უხელმძღვანელებს. შს სამინისტროს ინფორმაციით, რეორგანიზაციის ფარგლებში, გადადგომის შესახებ განცხადება სხვა რეგიონული დეპარტამენტების დირექტორების მსგავსად გიორგი ბუბუნაურმაც დაწერა, თუმცა მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა.

“განცხადება ყველა რეგიონული პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა დაწერა, თუმცა ზოგიერთი მათგანის განცხადება არ დაკმაყოფილა, ზოგი სხვაგან დაინიშნა და ზოგი ალბათ გათავისუფლდა. გიორგი ბუბუნაურის განცხადება არ დაკმაყოფილდა”, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს შს სამინისტროს წარმომადგენელმა შორენა ჯახუამ.

რეგიონებში პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებმა გადადგომის თაობაზე განცხადება 16 იანვარს, შს მინისტრთან შეხვედრის მეორე დღეს დაწერეს. შსს განმარტებით, მათი გადადგომა მინისტრის მიერ დაანონსებულ საკადრო ცვლილებებს უკავშირდება.

გიორგი ბუბუნაური კახეთის პოლიციის უფროსად 2014 წლის დეკემბერში დაინიშნა. მანამდე ის დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს უფროსად და თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

## წულუკიანი - კანონის გამკაცრების შემდეგ, პანკისიდან საომრად წასვლასთან დაკავშირებით ნაკლები პრობლემაა

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ტერორიზმთან დაკავშირებით კანონი გამკაცრდა, პანკისის ხეობის მაცხოვრებლების სხვა ქვეყნებში საომრად გასვლასთან დაკავშირებით, ნაკლები პრობლემაა, თუმცა პრობლემა მაინც არსებობს.

მისივე თქმით, სირიაში დაღუპული 2 პანკისელი 24 წლის რამზან ფარეულიძე და 22 წლის მუხმად თურქოშვილი საქართველოდან სავარაუდოდ დიდი ხნის წინ წავიდნენ.

„ეს ორი ადამიანი, როგორც ჩანს, მრავალი თვის წინ არის გასული საქართველოდან. მე მინდა მათ ოჯახებს მივუსამძიმრო და ყველა ახალგაზრდას მოვუწოდო, საკუთარი ქვეყნის მომავლის საქართველოში მშენებლობისკენ და არა ტერორიზმის მიზნით ბრძოლისკენ, რადგან ეს არის ის დიდი სენი და დანაშაული, რომელსაც ჩვენ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ვებრძვით. ახალგაზრდებმა საკუთარ მომავალზე უნდა იზრუნონ, ჩაერთონ იმ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელიც მათ შორის პანკისის ხეობაში არსებობს. იფიქრონ ნათელ მომავალზე, ვიდრე ბოროტების მსახურებაზე”, - განაცხადა წულუკიანმა.

რამზან ფარეულიძის და მუხმად თურქოშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია 17 იანვარს გახდა ცნობილი. ორივე მათგანი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდა. ისინი სირიაში დაახლოებით 1 წლის წინ წავიდნენ.

## სირიაში კიდევ 2 პანკისელი ახალგაზრდა დაიღუპა



სირიაში კიდევ 2 პანკისელი ახალგაზრდა დაიღუპა. დადასტურებული ინფორმაციით გარდაცვლილები არიან 24 წლის რამზან ფარეულიძე, რომელიც სირიაში წასვლამდე სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა და სოფელ ომალოს მკვიდრი, 22 წლის მუხმად თურქოშვილი. ორივე მათგანი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდა. ინფორმაცია მათი გარდაცვალების შესახებ გუშინ გავრცელდა.

რამზან ფარეულიძე სირიაში დაახლოებით ერთი წლის წინ წავიდა. მანამდე ის თელავში სწავლობდა, იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლა მან მესამე კურსიდან შეწყვიტა.

სირიაში წასვლის შემდეგ მისი ოჯახის წევრები რამზანის საქართველოში დაბრუნებას ცდილობდნენ. დედამისი იქ ჩავიდა კიდეც, მაგრამ შვილი საქართველოში დაბრუნებაზე ვერ დაითანხმა. 2015 წელს რამზანს პანკისიდან საცოლე ჩაუყვანეს, 20 წლის გოგონა, რომელიც სოფელ ძიბახევში ცხოვრობდა.

რაცშეეხება მუხმად თურქოშვილს, ის პანკისიდან სირიაში დაახლოებით ერთი წლის წინ წავიდა. მანამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის თურქეთში ცხოვრობდა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. მუხმად თურქოშვილს პანკისში ცოლი და ერთი შვილი დარჩა.

სირიაში საბრძოლო მოქმედებებში უკვე 14 პანკისელი დაიღუპა;

**24 წლის რამზან ფარეულიძე;**
**22 წლის მუხმად თურქოშვილი;**
**23 წლის თურფალ ბორჩაშვილი;**
**33 წლის იბრაჰიმ ცათიაშვილი;**
**24 წლის დავით სვიაკაური;**
**18 წლის ისრაფილ ცათიაშვილი;**
**21 წლის ჯაბრაილ ცათიაშვილი;**
**22 წლის გურამ გუმაშვილი;**
**18 წლის ბესო კუშტანაშვილი;**
**36 წლის რუსლან მაჩალიკაშვილი;**
**24 წლის ხალიდ აჭიშვილი;**
**26 წლის ჰამზათ აჭიშვილი;**
**აბდულ-მალიქ მუთოშვილი;**
**23 წლის რუსტამ გელაევი;**

არსებული ინფორმაციით, პანკისის ხეობიდან სირიაში 50—მდე ახალგაზრდა იბრძვის ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს, რომლის ორი ლიდერიც, თარხან ბათირაშვილი და მურად მარგოშვილი პანკისის ხეობიდან არიან.

# შეხვედრა სამთაწყაროში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებთან ლევან დავითაშვილთან, დავით გალეგაშვილთან და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელთან გიორგი მიშელაძესთან ერთად მეღვინეობის კოოპერატივის შექმნასთან დაკავშირებით, სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.



# საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა

22 იანვარს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს წარდგენილ პროექტს ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 დეკემბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 18.01.2016 წლის N 23 დადგენილებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებით განსაზღვრული თანხა (პროექტის



ჯამური ღირებულების არანაკლებ 5%) დედოფლისწყაროს ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა.



# წყალმომარაგების 820 000 ლარიანი პროექტის განხორციელება დაიწყო



დედოფლისწყაროში წყლის მომარაგების პრობლება მთელი სიმწვავით ზაფხულობით იჩენს ხოლმე თავს. როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიის წარმომადგენლები განმარტავენ, პრობლემას წყლის დაბალი დებეტი განაპირობებს. მის დასაძლევად დედოფლისწყაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ალტერნატიული წყაროების ძიება ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ჩატარდა გეოდეზიური სამუშაოები, შედგა სატანადო პროექტი, რომლის ღირებულებამაც 820 000 ლარი შეადგინა. მოსახლეობის ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა მის განხორციელებასაც და აცხადებდა, რომ ყოველ ზაფხულს წყლის გრაფიკს იძულებით ეჩვეოდნენ და თვლიდნენ, რომ დედოფლისწყაროს ეს პრობლემა ვერასოდეს მოუგვარდებოდა. მათი ეჭვი დაძლეულია-როგორც გაირკვა, წყლის მომარაგების 820 000 ლარიანი პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია და სამუშაო პროცესი მიმდინარეობს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელი გია გოგილაშვილის განცხადებით, მიწის ზედაპირული სამუშაოები დასრულებულია და კონტრაქტორი ფირმა ელოდება მასალებს სადრენაჟე სისტემის დასამონტაჟებლად და წყლის შემკრების გასაკეთებლად.





# გვემუქრება თუ არა „ღორის გრიპის“ მორიგი ეპიდემია?




„ყველა გრიპი არის H1N1 ტიპის, მხოლოდ ერთია H3. ყველას მოვუწოდებ, რომ მიიღონ ანტივირუსული წამლები და არა ანტიბიოტიკები. ეპიდემია შეიძლება მაშინ იყოს, როდესაც 100 000 კაცზე 500-600 დაავადებული გვყავს. ახლა ეს ნიშნული არ არის. გაციების პიკი თებერვლის ბოლოსკენ იქნება. მენეჯერებს მოვუწოდებ, რომ გაციებული თანამშრომლები სამსახურში არ დაუშვან და გამოჯანმრთელებამდე გაათავისუფლონ“ — აცხადებს დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე.

ემუქრება თუ არა საქართველოს ღორის გრიპის მორიგი ეპიდემია? ბოლო ხანს ინფიცირებულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მართალია, ჯერ ეპიდემიის არსებობა ოფიციალურად არ დადასტურებულა და კვლევის შედეგებიც საშიშ ნიშნულს არ მიახლოებია, მაგრამ H1N1 ვირუსზე აცრილთა რიცხვი ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე 12 ათასს აჭარბებს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ინფიცირების შემთხვევების სიმრავლეს ზამთრის მოახლოებას უკავშირებს და სტატისტიკას აქვეყნებს, რომლის მიხედვითაც, წინა წლებთან შედარებით წელს ბევრად უფრო ნაკლები შემთხვევა ფიქსირდება. თუმცა, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე ინფიცირებულის გარდაცვალების თაობაზე.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პაატა იმნაძე განმარტავს, რომ ვირუსული დაავადებით ინფიცირებულთა რიცხვის მომატება მხოლოდ ზამთარს უკავშირდება და ეპიდემიის საშიშროება არ არსებობს.

**— ბოლო პერიოდში მოიმატა ე.წ. ღორის გრიპით ინფიცირებულთა რიცხვმა?**

— ჩვენთვის ამ ვირუსს „ღორის გრიპი“ კი არა, H1N1 პანდემიური ჰქვია. იმის გათვალისწინებით, რომ ზამთარია, ვირუსული დაავადებით ინფიცირებულთა რიცხვის მომატება არავისთვის არ უნდა იყოს უცხო. არ არის გასაკვირი, არც გრიპის წამლებზე მოთხოვნების ზრდა. H1N1 არაფრით განსხვავდება სხვა ვირუსებისგან. გრიპი არის გრიპი, კლინიკურად ყველა ერთნაირია. შეიძლება მოკლას ნებისმიერმა სხვა ვირუსმაც და არ იყოს ის, როგორც თქვენ უწოდებთ — „ღორის გრიპი“.

**— რა დოზით ახორციელებს აქტივობებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი?**

— მოსახლეობას მეტი სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ. სახელმწიფოს მხრიდან აცრილია 12 000 ადამიანი, ესენი არიან ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფებიდან. მათ შორის არიან დიაბეტიანი პაციენტები, ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფარში მყოფი ადამიანები. დაახლოებით 8 000 ადამიანია აცრილი კომერციულ ზონებშიც. ბევრი, ვირუსული დაავადების ძირითადი გავრცელების ზონებად ბაღებსა და სკოლებს ასახელებს. ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგან ისინი ახლა არ მუშაობენ. მაინტერესებს, თქვენ გინახავთ ზამთარი, რომ ვირუსი არ ყოფილიყოს?! ზუსტად ისე ხდება, როგორც იყო შარშან, ან შარშანწინ.

**— საზოგადოებაში პანიკური ფონი უფრო გამძაფრდა... ხომ არ არის ეპიდემიის საშიშროება?**

— 5-6 წელიწადია, დედამიწაზე ეს გრიპი დადის და მათ შორის საქართველოშიც... ახალია, რომ პანდემიური ვირუსი, 2009 წლიდან დადის დედამიწაზე?! სულერთია, რომელი გრიპია, მთავარია, ადამიანს თუ აქვს გრიპის სიმპტომები, დროულად მივიდეს ექიმთან.

### რა არის ღორის გრიპი? რატომ ჰქვია მას ეს სახელი?

გრიპის ვირუსები სამ სახეობად იყოფა. ერთ-ერთი მათგანია A და სწორედ ის გახლავთ უმთავრესად პანდემიების გამომწვევი. ღორის გრიპი A გრიპის ერთ-ერთი ქვესახეობაა, რომელსაც მედიცინის ენაზე H1N1 ჰქვია. რაც შეეხება სახელწოდება "ღორის გრიპს", მას რეალურ ისტორიას უკავშირებენ. 2009 წელს აშშ-ში, კალიფორნიაში, წარმოშობით მექსიკელმა მოზარდმა სამკურნალო დაწესებულებას გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებით მიმართა. მას ჩაუტარდა ტესტირება და ადგილობრივმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ეს იყო A ტიპის ვირუსი. ადგილზე მისი ქვეტიპის დადგენა ვერ მოხერხდა და მასალა შემდგომი დიაგნოსტიკისთვის გადაეგზავნა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს. იქ მოხდა ვირუსის გენების შესწავლა და როდესაც მეცნიერებმა პირველად შეხედეს გენომს, ის აშშ-ში ღორებში გავრცელებული გრიპის გენომს მიამსგავსეს. შემდეგ გაირკვა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ღორებისთვის დამახასიათებელი ვირუსი; ეს გახლდათ ვირუსი, რომელიც ადამიანისგან ადამიანს გადაეცემოდა. უბრალოდ, წარმოადგენდა მის სრულიად ახალ ქვეტიპს, რომელიც მანამდე არ ცირკულირებდა მოსახლეობაში და, შესაბამისად, ჰქონდა პანდემიური ანუ საყოველთაო გავრცელების პოტენციალი. აი, ასე შერჩა ამ პანდემიას "ღორის გრიპის" სახელი.

**რა განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს ამ ვირუსს და რა განაპირობებს დაავადების მძიმე მიმდინარეობას?**

ეს ვირუსი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება სხვა გრიპის ვირუსებისგან და იწვევს პრაქტიკულად იმავე სიმპტომატიკას, რასაც ნებისმიერი გრიპის ვირუსი. საზოგადოდაც, ა და ბ




ტიპის ვირუსებით გამოწვეული გრიპი სიმპტომებით ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ერთადერთი განსხვავება, რაც პანდემიის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ H1N1 30-დან 60 წლამდე ასაკის პირებს უფრო მეტად აყენებდა ზიანს, ვიდრე ხანში შესულებს, მაშინ როდესაც გრიპი, საზოგადოდ, უფრო ხანში შესულებისთვისაა საშიში. სტატისტიკურადაც, 65 წელს გადაცილებულებში ღორის გრიპი გაცილებით იშვიათია.

### რა არის პაციენტთა გარდაცვალების ძირითადი მიზეზი?

გრიპი უმთავრესად იმ ადამიანებს ურთულდებათ, რომლებსაც რაიმე სხვა დაავადებაც ჰქონდათ. აღრიცხულ შემთხვევებში ქრონიკული დაავადებების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი: ქრონიკული ჰეპატიტები, დიაბეტი, ჭარბი წონა, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები...

### როგორია H1N1 ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის სიმპტომები?

გრიპი იწყება მოულოდნელად, მაღალი ტემპერატურით, უმთავრესად თან ახლავს ინტოქსიკაციის მოვლენები, რაც გამოიხატება თავის, კუნთების, სახსრების ტკივილით და ხველა. შედარებით იშვიათად ერთვის ყელის ტკივილი და ცხვირის გაჭედვის შეგრძნება. შესაძლოა, ამ სიმპტომმა მოგვიანებით იჩინოს თავი. დაავადება ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე 7 დღეში სრული განკურნებით მთავრდება.

### ყველაზე ხშირად რა გართულებები აღინიშნება A ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის დროს?

სტატისტიკურად ყველაზე ხშირი გართულება პნევმონიაა. ამ უკანასკნელის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი - ეს გახლავთ თავიდანვე განვითარებული პნევმონია, ანუ ვირუსული პნევმონია,



რაც იშვიათია, და მეორე, რომელიც უფრო ხშირია - მეორეული ანუ ბაქტერიული ინფექციით გამოწვეული ფილტვების ანთება, რომელიც დაერთვის გრიპს დაავადების დაწყების მესამე-მეოთხე დღეს. თუ თავიდანვე შეამჩნია ადამიანმა, რომ უჭირს სუნთქვა, აწუხებს ტკივილი გულმკერდის არეში, ტკივილი სუნთქვისას, ცხვირ-ტუჩის არეში ციანოზი ანუ სილურჯე უვითარდება, ნახველი უხდება ვარდისფერი ან მასში ერევა სისხლი, - დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. თუ ამ სიმპტომებმა გრიპის დაწყებისთანავე იჩინა თავი, ეს ვირუსულ პნევმონიაზე მიუთითებს, ხოლო თუ გრიპის მესამე დღიდან, როცა ტემპერატურა უკვე შედარებით დაწეულია, მდგომარეობა ისევ დამძიმდა, დაერთო ხველა - ეს უკვე ბაქტერიული პნევმონიის მანიშნებელია და ექიმს ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა მიმართოთ. თუ სამედიცინო დახმარება დროულად გაეწია, ორივე შემთხვევაში გამოჯანსაღების ალბათობა საკმაოდ დიდია.

### როგორია მკურნალობის სქემა A გრიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის შემთხვევაში?

გრიპის ვირუსით გამოწვეული შემთხვევები ორად უნდა გავყოთ. ერთი ჯგუფია მსუბუქი შემთხვევები, რომლებიც სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას არ მოითხოვს, მეორე - გართულებული შემთხვევები. მსუბუქი შემთხვევებიც მაღალი ტემპერატურით მიმდინარეობს და ინტოქსიკაციაც ამ დროს საკმაოდ ძლიერია, თუმცა სუნთქვის პრობლემები ნაკლებად არის გამოხატული. ამ დროს რეკომენდებულია, დაავადებულმა დაიცვას წოლითი რეჟიმი, დარჩეს შინ, მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე, ჩვენებისამებრ - სიცხის დამწევები. რაც შეეხება ორსულებს, მათ აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს, რადგან ორსული - ეს გრიპის რისკჯგუფში შემავალი ადამიანია. გრიპის მძიმე შემთხვევების დროს რეკომენდებულია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება. ამ სახის ორი პრეპარატი არსებობს: ოსელტამივირი ანუ ტამიფლუ და ზანამივირი ანუ რელენზა. ეს უკანასკნელი რეკომენდებულია ორსულებისთვის, ხოლო ტამიფლუ - ორსულებისთვისაც და სხვებისთვისაც. მსოფლიო გამოცდილება იმასაც გვაჩვენებს, რომ თუმცაღა ბევრ ქვეყანას არ აქვს ტამიფლუ ან რელენზა, გრიპი გამოჯანმრთელებით მაინც სრულდება. ანტიბიოტიკებით თუ სხვა პრეპარატებით თვითმკურნალობა კი კატეგორიულად მიუღებელია. ნუ შეუქმნით საფრთხეს საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

### ვაქცინაციის შესახებ

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პროფილაქტიკის ერთადერთი პირდაპირი საშუალებაა სეზონური გრიპის ვაქცინით აცრა. ვაქცინაცია ეფექტურია გრიპის სეზონის დაწყებამდე, ამიტომაც იწყება ოქტომბერ-ნოემბერში გრიპის ვაქცინაციის პროპაგანდა. გავრცელების პროცესში ვაქცინაციაზე ჯანმო უარს არ ამბობს, უბრალოდ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვაქცინაცია დაემთხვეს გრიპით ინფიცირებას და ამან გაურკვევლობა გამოიწვიოს, ამიტომ ამ დროს რეკომენდაციას ვიძლევით, მოსახლეობამ გამოიყენოს დაცვის არაპირდაპირი საშუალებები ანუ უფრო გაამკაცროს პროფილაქტიკის წესები. პირადი ჰიგიენა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ზედმიწევნით დაცვა არა მარტო გრიპის, არამედ უამრავი სხვა დაავადების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ - მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ პროფილაქტიკისთვის ჯობს ინფიცირებულმა იხმაროს ნიღაბი და არა ჯანმრთელმა ადამიანმა.

### საზოგადოების რა ნაწილს ემუქრება განსაკუთრებული რისკი?

ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილდნენ ნებისმიერი ქრონიკული დაავადების, განსაკუთრებით - სასუნთქი და გულსისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, დიაბეტით დაავადებულები, თირკმელებისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადების მქონეები, მცირე ასაკის ბავშვები და ხანდაზმულები. განსაკუთრებული ჯგუფია ორსულები, რომლებშიც გრიპი შედარებით მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე არაორსულებში, ამიტომ მათ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს.

### დაბოლოს,გირჩევთ:

**ნუ აჰყვებით პანიკას უბრალო სეზონური გრიპის გამო. მისდიეთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, რათა ჯანსაღი და მძლავრი იმუნური სისტემით შეხვდეთ ყოველ სეზონურ გრიპს, რომელსაც თავს ვერასგზით ვერ ავარიდებთ, ხოლო გრიპის გავრცელებისას დავიცვათ ჰიგიენისა და პროფილაქტიკის ის წესები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, და, რა თქმა უნდა, ყოველთვის დროულად მიმართეთ ექიმს.**

# „ევროკავშირი, ეს არის ურთიერთთანამშრომლობის, კონსოლიდაციის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის სივრცე!"



**სულ ახლახანს ჩვენი რაიონის აღზრდილი, ახალგაზრდა, ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოქალაქე სალომე ნატროშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, სადაც ის სამ ქართველ კოლეგასთან ერთად, კონკურსში მონაწილეობის შედეგად, იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციით იყო წარდგენილი. სალომე ევროპის ათზე მეტ ქვეყანაში სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდა და გაიარა მაღალკვალიფიციური ტრენინგები პროფესიულ რანგში, ამასთან ერთად, ქართველ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ სხვადასხვა მაღალი რანგის შეხვედრებს, სადაც ისინი ევროპელ დიპლომატებთან და ევროკომისიის წევრებთან დიალოგში შევიდნენ და საქართველოს სახე ბრწყინვალედ წარმოაჩინეს. თუ როგორია ჩვენი თანამოქალაქის - სალომე ნატროშვილის ევროპული შთაბეჭდილებები, სალომესთან შემდგარი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ შეიტყობთ .**

სალომე ნატროშვილი, **მინი დოსიე:** ***2012 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ამავე წელს ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში საჯარო სამართლის მიმართულებით, ამჟამად იგი მუშაობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის მრჩევლად.***

**-სალომე, თქვენ ძალიან ბევრს მუშაობდით იმისთვის, რომ მიგეღწიათ წარმატებისთვის, ვიცი, რომ სასამართლო სისტემაშიც გაქვთ გამოცდილება და ლექციებსაც კითხულობდით. მოგვიყევით ეს ყველაფერი როგორ განვითარდა და როგორ მოვიდა დღევანდლამდე, დღეს ხომ თქვენ იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი წარმატებული მუშაკი ხართ, როგორ შეძელით ამ ყველაფრის მიღწევა ასეთ პატარა ასაკში და იუსტიციის სამინისტროში ჩერდება თქვენი ბოლო მიზანი თუ კვლავ აპირებთ სწავლის გაგრძელებას, როგორია თქვენი გეგმები?**

-დიახ, საბედნიეროდ, ჩვენთან მოტივირებულ სტუდენტებს, განსაკუთრებით კი იურისტებს, არაერთი შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. ჯერ კიდევ მესამე კურსის ბოლოს, სტაჟირება დავიწყე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრში, სადაც უამრავი მოქალაქე მოდიოდა სამართლებრივი პრობლემებით, რომლებსაც კვალიფიციურ დახმარებას უწევდნენ და ახლაც უწევენ საიას იურისტები. ამ პროცესში უშუალოდ ვიყავი ჩართული, რამაც საუკეთესო შესაძლებლობა მომცა, გამტკიცებულიყო ჩემი მანამდე მიღებული თეორიული ცოდნა. ამის შემდეგ სტაჟირება გავიარე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, შემდგომ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლე ნათია წკეპლაძესთან. პარალელურად ლექციებს ვკითხულობდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრში მედიის სამართალზე. ქალბატონ ნათია წკეპლაძესთან სტაჟირებამ ფასდაუდებელი გამოცდილება მომცა როგორც პროფესიული, ისე ადამიანური და მოქალაქეობრივი თვალსაზრისით. ვისწავლე ბევრად მეტი, ვიდრე სამართალი. ვისაც ქალბატონ ნათიასთან ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა, აუცილებლად დამეთანხმება, რომ მას საოცარი უნარი აქვს, დაგეხმაროს სწორი ფასეულობების ჩამოყალიბებაში. გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი ნათიას მსგავსმა ადამიანებმა შექმნეს სწორი მართლმსაჯულების განხორციელების არაერთი პრეცედენტი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ურთულეს, გარდამავალ პერიოდში. მაშინ, როდესაც ხელისუფლება ძალადობდა საკუთარ მოსახლეობაზე და რაც სამწუხაროდ, ნორმადაც კი აღიქმებოდა, მის მიერ იწერებოდა განსხვავებული აზრი, რაც არაკონფორმულობისა და პრინციპულობის მაგალითს და სტიმულს გვაძლევდა ყველას, იმ დროს როდესაც ასეთი მაგალითების დეფიციტი იყო. უზენაეს სასამრთლოში სტაჟირებისას იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტში გამოცხადებულ ვაკანსიაზე შევავსე განაცხადი, რის შედეგადაც კონკურში მივიღე მონაწილეობა და 2013 წლის სექტემბერში საბოლოოდ შემარჩიეს. მართალი გითხრათ, ისეთ ქვეყანაში, როგორშიც ნეპოტიზმსა და პროტექციონიზმს კეთილი ტრადიციის სახე აქვს მიღებული, არ მჯეროდა, რომ საჯარო სამსახურის კარი ნაცნობობის გარეშე იღებოდა ვინმესთვის, თუმცა, საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდი, რომ კონკურსები ნამდვილად ტარდება და პროფესიონალიზმს აქვს თავისი მაღალი ფასი. ეს ის მომენტია, როდესაც არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ ხარ, გარდა საკუთარი სამშობლოსი. რაც შეეხება მომავალს, ვაპირებ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას მინიმუმ ერთი წლით, აკადემიური ხარისხის ამაღლებას და ყოველთვის ვიმუშავებ იქ, სადაც ჩემს ქვეყანას უფრო მეტად დავჭირდები და გამოვადგები...



**- რას ითვალისწინებდა თქვენი ვიზიტი ევროპის ქვეყნებში, ჩამოთვალეთ ის ქვეყნები, რომლებიც ვიზიტის ფარგლებში მოიარეთ და რა მისია ჰქონდა თქვენს ჯგუფს?**

- როგორც გითხარით, მთავარი მიზანი სწავლა იყო და პროგრამა განკუთვნილი იყო ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის. სასწავლო ვიზიტები გვქონდა ასევე ბრიუსელსა და ლუქსემბურგში, სადაც ევროკავშირის მთავარი ორგანოებია განთავსებული. სექტემბირდან დეკემბრის ჩათვლით, რიგის სამართლის სკოლაში გავიარე სამართლისა და ეკონომიკის სასწავლო კურსი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი ცოდნა მომცა ევროკავშირის სამართლებრივ და ეკონომიკურ ბუნებაზე, ევროპულ ბაზარზე, თავისუფალ გადაადგილებაზე (შენგენის ზონა), საერთო ევროპულ ვალუტასა (ევროზონა) და რა თქმა უნდა, რაც ყველაზე მთავარია, ბალტიისპირეთის გამოცდილებაზე, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური მისწრაფებების მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის. უამრავ საკითხზე, რომელზეც ამ დრომდე ზედაპირული გამოცდილება მქონდა, დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია მივიღე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ევროპიდან დანახული საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივა, ანუ ის, როგორ ხედავენ ამ შესაძლებლობას თავად ევროპელები, ძალიან საინტერესო იყო.

**-სალომე, მე-20 საუკუნის მიჯნაზე, დმანისის აღმოჩენებმა - ზვიადმა და ზეზვამ მთლიანად შეცვალა ევროპული საწყისების თარიღები, ამას მოჰყვა დამაჯერებელი ფრაზები, რომელიც ზურაბ ჟვანიამ გააჟღერა ევროპულ სამიტზე,- „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი!" რა იყო შენს წარმოდგენაში ევროპა და რა წარმოდგენა გაქვს ახლა, რა არის ევროპა, რა ფასეულებებით საზრდოობს იგი და შეესაბამება ქართული მისწრაფებები ევროპის მისწრაფებებს თუ, არა?!**

-იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროპას განვიხილავთ მხოლოდ გეოგრაფიულ ჭრილში, რაც ნამდვილად არ პასუხობს ევროპის თანამედროვე გაგებას, როგორც ყველასთვისაა ცნობილი, ჯერ კიდევ კოლხეთი განიხილებოდა ევროპის ნაწილად და ამაზე კითხვის ნიშანი არ დაისმის. საქართველო თავისი უნიკალური კულტურული სიმბიოზით დიდწილად და ძალიან ორგანულად ევროპული სივრცის ნაწილია. რაც შეეხება ევროპულ ფასეულობებს, მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირს, როგორც ორგანიზაციას, 2012 წელს გადაეცა ნობელის ჯილდო მშვიდობის დარგში, სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის, ორგანიზებისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის. მხოლოდ ეს ფაქტიც კი მიუთითებს, რომ ევროკავშირი, ეს არის ურთიერთთანამშრომლობის, კონსოლიდაციის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის სივრცე, რომელსაც, ჯერჯერობით, ანალოგი არ აქვს და რომლის თითოეულ მოქალაქეს სულ მცირე, მინიმალური ადამიანური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული აქვს. ყველა ზემოთხსენებული გარემოება კი, თავის მხრივ, მეტნაკლებად უზრუნველყოფს ინდივიდის კეთილდღეობას და შესაძლებლობების განხორციელების შანსს, რომელიც, დიდწილად, არ ტოვებს თავისუფალ სივრცეს აგრესიისა და გაუგებარი სოციალური კონფლიქტებისთვის. ადამიანები ერთმანეთს უპირატესობას არ უმტკიცებენ და ამით საკუთარ ეგოიზმს არ იკმაყოფილებენ. ინდივიდის ღირსება მისი სოციალური მდგომარეობის, შემოსავლის ოდენობისა თუ თანამდებობის მიუხედავად, ძალიან ღირებულია, იქ ეს ყველაფერი რეალობაა და არა თანასწორობის იდეის აბსტრაქტული გაცხადება. ბუნებრივია, მათაც აქვთ საკმაოდ რთული გამოწვევები, რომლებისთვისაც მზად არ არიან. მაგალითისთვის სირიის ომით გამოწვეული საიმიგრაციო და საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისებიც გამოდგება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ევროკავშირი არის თავისუფალი გადაადგილება, თავისუფალი არჩევანი, თავისუფალი ინფორმაცია, ადამიანის უფლებების პატივისცემა. საბოლოოდ, ვფიქრობ, რომ ევროპული ღირებულებები თუ შეიძლება ერთ, ძალიან ზოგად კატეგორიაში მოექცეს, ეს არის დაცული ინდივიდი. დაცულობა კი, გულისხმობს სიმშვიდის არაერთ ასპექტს, იქნება ეს სოციალური თუ პოლიტიკური. აღარ შევჩერდები იმ საკითხზე, რომ არსებობს მოსაზრებები, თითქოს ვინმე ქართველობას წაგვართმევს, აზრს მოკლებულია და რუსული პროპაგანდის „კარგი" მუშაობის შედეგია. იქ მცირე ჯგუფის კულტურაც კი დაფასებულია და არათუ მის განადგურებას ან წართმევას არავინ არასდროს შეეცდება, პირიქით, ევროპაში კულტურა და ტრადიციები მაქსიმალურად მოვლილი და წახალისებულია. ძალიან მაღალია სამოქალაქო კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის დონე. მთავარი რამ, რაც ჩემი აზრით უნდა ვისწავლოთ, შრომის კულტურა და დროის სწორად განაწილებაა. ამას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე ვამბობ, ბუნებრივია.

**-რა წარმოდგენა აქვთ ევროპელ კანონმდებლებს საქართველოზე, როგორია მათი შეხედულება ჩვენს ქვეყანაზე, ხალხზე?**

-საქართველოს არცთუ შორეულ პერსპექტივაში განიხილავენ აღმოსავლეთ ევროპის სივრცის ნაწილად. ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი, როგორც ცნობილია, ჩვენი გამორჩეული მხარდამჭერები არიან. ამ ქვეყნებში ფანტასტიურად იცნობენ საქართველოს, მის კულტურას და ხალხს. ეს დამოკიდებულება ალბათ საერთო მჩაგვრელის არსებობითაცაა გამოწვეული. ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ლეხ კაჩინსკის სიტყვები, რომელიც თავის დროზე გადაჭარბებულად იქნა აღქმული და რომლის მიხედვითაც, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების ქიმკარია, ახლა უკვე ძალიან დამაჯერებელია.

**-რამდენადაც ვიცი, თქვენ იქ არაერთ შეხვედრას დაესწარით, რა როლი შეასრულეთ ამ მისიაში და რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენი, თუნდაც ერთი სიტყვა, ერთი გზავნილი ევროპისკენ?**

-არ ვიცი, ამას რამდენად შეიძლება გზავნილი ვუწოდოთ, მაგრამ ჩვენ ყველა შეხვედრაზე ვცდილობდით „მცოცავი ოკუპაციის" საკითხის აქტუალიზაციას და ხაზს ვუსვამდით, რომ ოკუპაცია, ეს არ არის 2008 წლის 27 აგვისტოს დასრულებული პროცესი და ის ახლაც მიმდინარეობს. ვფიქრობ, იმის მიუხედავად, რამდენად იყვნენ თავად ინფორმირებულნი ამის შესახებ, არცერთი შესაძლებლობა არ უნდა გაგვეშვა, კიდევ ერთხელ გაგვეჟღერებინა ამის თაობაზე.

**- სალომე, მაინც მინდა გკითხოთ, რა არის მათთვის დემოკრატია, როგორ ფიქრობ, საქართველოს როგორი სვლები აქვს მათეული დემოკრატიისკენ, გვაქვს კი წინსვლები, მივაღწევთ დასახულ მიზანს ბოლომდე ?**

-დემოკრატია, ეს არის კანონის უზენაესობა და ინსტიტუციური სიმყარე, განცდა იმისა, რომ პოლიტიკური ჯგუფები იცვლებიან, ხოლო ინსტიტუტები რჩება. დემოკრატიის მთავარი ფაქტორი არის ამომრჩეველი. სახელმწიფოს ფინანსების კი, გადასახადის გადამხდელი, რომლის წინაშეცაა ვალდებული ხელისუფალი და არა პირიქით!

**-რას შეცვლიდით ჩვენს კანონებში, როგორ უნდა მოიქცეს თითოეული მოქალაქე, რას ურჩევდით ჩვენი ქვეყნის სათავეში მყოფთ?**

-ასოცირების შეთანხმების შემდეგ ჩვენ არაერთ სფეროში ძალიან სერიოზულ პროგრესს მივაღწიეთ, რაც ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების დადებითი შეფასებითაც დადასტურდა. ბუნებრივია, უამრავი მიმართულებით წინ ძალიან ბევრი სამუშაოა. მრჩევლად ამ შემთხვევაში ალბათ ვერ გამოვდგები, თუმცა, მთავარია, ყველას გვქონდეს განცდა, რომ მუდმივი არაფერია და არც უნდა იყოს. მოქალაქე არ არის დაქვემდებარებული, პირიქით, თუ სუბორდინაციასა და ანგარიშვალდებულებაზე ვისაუბრებთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ ხელისუფალია ანგარიშვალდებული მოქალაქის წინაშე.

**-რით დააყენებდით ევროპულ ღირებულებებს წინ და რა გვაკლია კიდევ, რომ ჩავაბაროთ ყველა გამოცდა გაევროპელებამდე?**

-ზოგადად, ევროკავშირის გაფართოების იდეა ეს არის დაცულობის, კეთილდღეობის, თავისუფლების, ურთიერთპატივისცემისა და მშვიდობის გარანტია, მაშინ, როდესაც რუსეთის გავლენის არსებობა ნიშნავს კორუფციის, შერჩევითი სამართლის, სტაგნაციის და დამოკიდებულების ექსპორტს. ჩვენი არჩევანი, საბედნიეროდ, სადავო აღარ არის, რაც ძალიან კარგია. თუმცა, ცხადია, საკმარისი არ არის და ძალიან ბევრი შრომა გვმართებს სწორი მიმართულებით განვითარებისთვის.

**- რა გამოცდილება მოგცათ ზემოხსენებულმა სამთვიანმა მივლინებამ, რა ნახეთ კიდევ განსაკუთრებული, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა თქვენი ჯგუფი?!**

-ძალიან კარგი საშუალებაა იმ ყველაფრის საკუთარი თვალით სანახავად, რაზეც მანამდე მხოლოდ გსმენია და საკმაოდ ზერელე წარმოდგენები გაქვს. ამიტომ, ევროკავშირში უვიზო გადაადგილება, მართლაც, ისტორიული შანსია, გასვლისთვის და იმის სანახავად, რისკენ ვისწრაფვით.

დიდი მადლობა ჩემდამი დაინტერესებისა და ყურადღებისთვის, წარმატებებს და მეტ მკითხველს გისურვებთ, რაც ნიშნავს, რეგიონულ განვითარებასა და შიდა მიგრაციის შეჩერებას!



**- ასევე წარმატებები და წინსვლა მინდა გისურვოთ, მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის. მუდმივად ჰქონდეს ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა, რომ თქვენნაირი ნიჭიერი ადამიანები გააგზავნოს ევროპაში, ხოლო ჩვენს რაიონს არ გამოლეოდეს ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელსაც თამამად გაუშვებ ნებისმიერ შეხვედრებზე და იამაყებ მისი ბრძოლისუნარიანობით.**

ლალი მეხრიშვილი

# ალმანახი მწიგნობარი -2015

გამოვიდა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური ალმანახი "მწიგნობარი" 2015 წლის ნომერი, რომელიც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე არის დაბეჭდილი. გარეკანს ამშვენებს მე-16 საუკუნის იტალიის ცნობილი გამომცემლის ალდ მანუციოს მიერ 1501 წელს ვენეციაში დასტამბული კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსის ნაშრომის გაშლილი ნაბეჭდი გვერდები ავტორის პორტრეტით.

"მწიგნობრის" მთავარი რედაქტორია პროფესორი ნოდარ ტაბიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე პროფესორი ლადო მინაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი შოთა კობიაშვილი. ალმანახში წაიკითხავთ ლადო მინაშვილის პუბლიკაციას "ქართული რეალისტური პროზის სათავეებთან"(ლავრენტი არდაზიანი-200), გურამ თაყნიაშვილის წერილს "ქართული საეკლესიო სიძველეების მკვლევარი(მიხეილ საბინინი-170) . ცნობილია, რომ მიხეილ საბინინი დაიბადა 1945 წელს თბილისში. იგი წარმომავლობით რუსი იყო. დედა ქართველი ჰყავდა, გვარად მირზაშვილი, სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია, სრულიად ახალგაზრდამ გამოამჟღავნა ცხოველი ინტერესი ქართული საეკლესიო მწერლობისა და ეპიგრაფიული მასალების შესასწავლად.

ალმანახში დაბეჭდილია აგრეთვე სოსო სიგუას "მთვარის მოტაცების გამოცემები", გიორგი გოგოლაშვილის ბრძოლა "დედაენის" გადასარჩენად. ზოია აბაშიძის -"დადეშქელიანების ამბავი"-ქრონიკები. მანანა კვაჭანტირაძის "ადამიანი კულტურული მეხსიერების პირისპირ"(გურამ რჩეულიშვილი) და სხვა.

ალმანახში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის (თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე ) მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს.

6 მარტს ბენაურის კერძო სკოლაში გაიმართა შეხვედრა რაიონის გამოჩენილ ქალბატონებთან, რომლებსაც საკუთარი ლექსები მიუძღვნეს პოეტებმა: ჯ. უთრუთაშვილმა, თ. წიკლაურმა და ლ. ალავერდაშვილმა, მე-12 კლასის მოსწავლე ქეთი ჩაფიაშვილმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.

25 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი 2014 წლის. შემდეგ ნომინაციებში - „საუკუნის ლეგენდა" და „ ახალგაზრდა პროფესიონალი". მიწვეულნი იყვნენ „საუკუნის ლეგენდის" ნომინანტი ქალბატონები: მედეა ამირანაშვილი, მანანა ახმეტელი, ნანი ბრეგვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაირა გორაშვილი და თამარ მოძღვრიშვილი. მათ პატივსაცემად გაიმართა საოპერო დასის სოლისტთა გალა-კონცერტი. საღამოს უძღვებოდა პოეტი მაყვალა გონაშვილი და ოპერის სოლისტი ელდარ გეწაძე.

22 აპრილს სოფელმა არხილოსკალოს საჯარო სკოლაში გამართა გამოჩენილი კინორეჟისორისა და მწერლის გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი საღამო.

29 აპრილს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში გაიმართა შეხვედრა სკოლის გამოჩენილ დირექტორებთან - ნანა მერაბიშვილთან და სვეტლანა შალვაშვილთან. მათ გადაეცათ ჯილდოები. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ მწერლები-თემურ ჩალაბაშვილი და ზაალ ბოტკოველი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტები პედაგოგ დოდო დიასამიძისა და კომპოზიტორ ნანა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით.

11 ივნისს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში გაიმართა საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის წევრის, ამავე სკოლის პედაგოგ თამილა ნადირაშვილისა და მისი მოსწავლის მალვინა ისმაილოვას კონცერტი.

30 სექტემბერს საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა ნანი საბანაძის პოეზიის საღამო-"მოკისკისე ალუბლები". საღამოს უძღვებოდა ახალგაზრდა პოეტი ქეთევან ნათელაძე. ნანი საბანაძის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს პოეტმა მზია ხეთაგურმა და მანანა დანგაძემ, რუსთაველისა და დავით კაკაბაძის სახელობის პრემიების ლაურეატმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა გივი თოიძემ, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, ჟურნალისტმა ინგა შიოლაშვილმა, სტუდენტმა ნატალი გონაშვილმა, მომღერალმა მარინე კოლხიდაშვილმა შეასრულა ხალხური სიმღერები, მოსწავლეებმა დავით მაჭარაშვილმა და ნატალი რევაზიშვილმა წაიკითხეს ლექსები პოეტის საბავშვო კრებულიდან.

5 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში გაიმართა გაზეთ "საქართველოს ლირიკის" მიერ 2015 წელს ქალთა წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით გამოცხადებული "გამორჩეული ქალბატონებისა" და "ახალგაზრდა პროფესიონალების" ნომინაციაში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

საღამოს უძღვებოდნენ ტელევიზია "ობიექტივის" ჟურნალისტი ნინო ჩიხლაძე და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი ელდარ გეწაძე. მათ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს გამარჯვებული ნომინანტები: ჩვენი საყვარელი კინოვარსკვლავი ლეილა აბაშიძე, ექიმი ელეონორა ბაბუნაშვილი, ფარმაცევტი ნათელა ღრუბელაშვილი, პოეტი და პროზაიკოსი მარინე ცხვედიაშვილი, ვია "გვირილას" სამხატვრო ხელმძღვანელი ერნა წიფურია, ვოკალისტი მარინე ფარულავა, ფილოლოგი რუსუდან გონაშვილი, ექიმი -პედიატრი შორენა ღვინიაშვილი, პედაგოგი ია თეთვაძე, ჟურნალისტი ლალი მეხრიშვილი.

საქველმოქმედო საზოგადოება ამაგდარის თავმჯდომარე ვახუშტი ქიზიყურაშვილმა სპეციალური სიგელები გადასცა ნომინაციებში გამარჯვებულ ქალბატონებს. მათ პატივსაცემად გაიმართა გალა კონცერტი თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საოპერო დასის სოლისტებისა და წარჩინებული სტუდენტების მონაწილეობით. აღნიშნული ღონისძიების პროექტის ავტორი და ინიციატორი გახლდათ ნანა ჭიჭინაძე.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ (თავმჯდომარე ლია ნადარეიშვილი) 2015 წლის საუკეთესო ორგანიზაციად დაასახელა დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია და საჩუქრად გადასცა ამავე ორგანიზაციის მიერ 2015 წელს გამოცემული შოთა ნიშნიანიძისა და მურმან ლებანიძის კრებული, დედოფლისწყაროდან იწყება ახალი წელი, თქვა გამოცემის ხელმძღვანელმა შოთა კობიაშვილმა.

ლია ჩოქური,
**დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი**

# გამოიცა ახალი ალმანახი

ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით ახალი ლიტერატურული ალმანახი გამოიცა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ზვიად ჯავახიშვილის, მუნიციპალიტეტის გამგებლის-ნიკოლოზ ჯანიაშვილისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორის, ნონა ჯიბლაშვილის უშუალო თანადგომითა და მხარდაჭერით ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯის" პირველი ნომერი გამოვიდა.

ალმანახში შესულია ქართველი მწერლების ნაწარმოებები, რომელთა უმრავლესობაც დედოფლისწყაროელია. გამოცემა ლიტერატურულ სიახლეებზე და დარგის ამაგდართა ცხოვრებისეულ ეპიზოდებზეც მოგვითხრობს.

„ჩვენს ქვეყანაში კულტურას ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული მიდგომა და მხარში დგომა ჭირდება. თუ ეს ნება არ გამოვლინდა, ქართული ხელოვნება, ფაქტობრივად, განწირულია. ამიტომაც მინდა, რომ განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიმართ. რომ არა ზვიად ჯავახიშვილისა და ნიკოლოზ ჯანიაშვილის კეთილი ნება , ლიტერატურული გამოცემის იდეა მოკვდებოდა. ვიმედოვნებ, მათი მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. "-ამბობს ალმანახის რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ნატროშვილი.

მისივე განმარტებით, ,,ხორნაბუჯი" პერიოდულ სახეს მიიღებს და ის წელიწადში ორჯერ გამოვა. პირველი ნომრის შეძენა დედოფლისწყაროს, თელავისა და თბილისის საგაზეთო ჯიხურებშია შესაძლებელი.

„ხელოვნების, მათ შორის ლიტერატურის ,თანადგომა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობთ დავეხმაროთ ამ დარგს. ვფიქრობ, რომ ლიტერატურული ალმანახის გამოცემა დედოფლისწყაროელი მწერლებისა და მკითხველისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტია. შევეცდებით, მათი მოლოდინი მომავალშიც გავამართლოთ და „ხორნაბუჯის" გამოცემაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ"-აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი.



# „თოჯინები“ მოჯაჰედისთვის – მონათა ბაზარი და თანამედროვე „შინდლერები“

"ჩვენ ის მოვკალით, რადგან ამერიკელი იყო. ობამას რომ ნდომებოდა, ეტყოდა ბაშარ ასადს, შეეწყვიტა ჩვენი პოზიციების ავიაიერიშები, რასაც ყოველდღიურად ათობით ქალი და ბავშვი ეწირება, ეს ჩვენი შურისძიებაა - მოვკლავთ ყველა ამერიკელს ქალიან-კაციანად, რომელიც ტყვედ ჩაგვივარდება".

### ჰაჯი მუთაზი, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლი

"გატაცებული ბიჭების და გოგონების (1-9 წლამდე ასაკის) ფასი 165 დოლარს უტოლდება, მოზარდი გოგონებისა - 24 დოლარს, ხოლო ქალების (20-30 წლამდე ასაკის) - 85 დოლარს. ჩვენი მონაცემებით, დღეს ისლამურ სახელმწიფოს"5 000 ქალი ჰყავს ტყვედ, რომლებიც მონებად აქციეს".

ზეინაბ ბენგური, გაეროს საგანგებო წარმომადგენელი სექსუალური ძალადობის საკითხებში

"მებრძოლებმა მითხრეს, რომ მალაქ თავური (მთავარი ანგელოზი იეზიდურ რელიგიაში. - ავტ.) არის ეშმაკი და რადგან ეშმაკს ეთაყვანებით, შეგვიძლია ვივაჭროთ და ვისარგებლოთ თქვენით, სანამ არ მოგვბეზრდებაო... მათ ჩემი გაუპატიურება (დღეში რამდენჯერმე) კარგა ხანს არ მოჰბეზრებიათ".

### 15 წლის იეზიდი გოგონას ნაამბობიდან

"ის ძალიან მშვიდი ადამიანი იყო, ხმას არასდროს უწევდა, მონების თანდასწრებით თავს აბუ ჰალიდს უწოდებდა, არ ჰქონდა მობილური ტელეფონი (კავშირს სხვა მებრძოლებს ანდობდა), თუმცა ჰქონდა პრივატული ოთახი კომპიუტერით და ინტერნეტით, შინ 5 შვილი და 3 ცოლი ჰყავდა, მონა გოგონებს, რომლებიც სახლის საქმეებს უძღვებოდნენ, ხალიფას ცოლები უმოწყალოდ სცემდნენ, ხშირად რეზინის ჯოხებით, შემდეგ მებრძოლებს ეუბნებოდნენ, გააუპატიურეთ, ურჯულოები არიანო... თავად ხალიფა ერთ ამერიკელ ქალს (ქაილი მიულერი. - ავტ.) რამდენიმე თვე ჯერ აუპატიურებდა და მერე აწამებდა, შემდეგ ის მოკლეს კიდეც"."

აბუ ბაქრ ალ ბაღდადის მონა ქალის მოგონებებიდან. გამოცემა ცარრიიერე დელა სერა, 2015 წლის 11 სექტემბერი.

### „ბავშვი თუნუქის ქილაში ჩასვა და თაკარა მზეზე დაკიდა“

"ჩემი ერთი პაციენტი 26 წლის იყო, როცა "ისლამური სახელმწიფოს" მეომრებმა მისი სოფელი აიღეს, მისი ოჯახის ყველა მამაკაცი დახვრიტეს, თავად კი, სამ შვილთან ერთად (7 წლის ვაჟი, 5 და 2.5 წლის გოგონები), ერთ მებრძოლს მიჰყიდეს. ასე გახდა მონა. მებრძოლი აიძულებდა, ყოველდღე ყურანიდან ერთი სურა ესწავლა. ქალი ქურთი იყო, არაბული კარგად არ იცოდა და შეცდომების გამო მებრძოლი ყოველდღე სცემდა. ერთ დღეს ისე გაცხარდა, ქალის უმცროსი გოგონა თუნუქის დიდ ქილაში (მასში ზეთს ინახავენ ხოლმე) ჩატენა და თაკარა მზეზე დაკიდა. იქ შუადღისას ძალიან ცხელა, ამიტომ თუნუქის ქილაში ტემპერატურა 60 გრადუსამდე იმატებს. ასე იყო ბავშვი დაკიდებული ერთი კვირა... დედას არ ჰქონდა შვილის ამოყვანის უფლება, რადგან მებრძოლი დანარჩენი შვილების მოკვლით ემუქრებოდა. ქალს მხოლოდ დღეში ერთხელ შეეძლო ბავშვისთვის საჭმლის მიტანა. დიდი სიცხის გამო პატარას მუდმივად გული ერეოდა. ერთი კვირის შემდეგ ის ჩამოხსნეს და ყინულიან წყალში ჩააგდეს. ბავშვს ცალი თვალი ამოუვარდა. დედის შეცდომების გამო კიდევ რამდენჯერმე სცემეს. ნაწამები პატარა გარდაიცვალა... შემდეგ ეს მებრძოლი დაემუქრა, თუ ჩემი ხასა არ გახდები, ვაჟს მოგიკლავო. ბავშვები, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს დის სიკვდილი, დღემდე ხმას არ იღებენ".

### ცნობილი ფსიქოლოგის, იან ილჰან ყიზილხანის ამ ნაამბობმა გერმანელ საზოგადოებას თავზარი დასცა.

სიტყვა „საბაია“ (არაბულად ტყვე ქალი) სირიაში ათასობით იეზიდი თუ ქრისტიანი ქალისთვის ტანჯვისა და სიკვდილის სინონიმად იქცა. ამის შესახებ დიდხანს არავინ არაფერი იცოდა. 2015 წელს ყოფილი მონა ქალი, ნადია მურად ბასი გაეროში გამოვიდა, მოჰყვა, რა გადახდა თავს და მსოფლიოს ამცნო სექსმონების შესახებ. ისლამის სახელით სექსუალური ძალადობა ქალებსა და ბავშვებზე "ისლამური სახელმწიფოს""ახალ სავიზიტო ბარათად იქცა.

საგულისხმოა, რომ სექსუალურ ძალადობას, როგორც ურჯულოების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, თავისი დაბადების დღეც აქვს - 2014 წლის 3 აგვისტო.

### „როცა გუნებაზე იყო, მეგობრებს ეპატიჟებოდა და ჩემი გაუპატიურების ნებას აძლევდა“

იეზიდი გოგონას ნაამბობიდან: "სოფლის აღებიდან ერთ საათში მოსახლეობა სახლებიდან გამორეკეს, ქალები გამოყვეს, მოზარდი ბიჭები, ვისაც იღლიაში თმა ჰქონდა, მამებთან და ძმებთან დააყენეს. შემდეგ მამაკაცები ყანებში გაიყვანეს და დახვრიტეს... ასე ხდებოდა ყველა სოფელში... როცა ჩვენს სოფელს მოუახლოვდნენ, მამაჩემმა გარიდება გადაწყვიტა. ოჯახში ცხრანი ვიყავით. გზაში მანქანა გაგვიფუჭდა და მეომრებმაც მოგვისწრეს... კაცები სადღაც წაიყვანეს, ქალები კი იქვე, ავტობუსში აგვიშვეს, სადაც ქალები დაგვხვდნენ... დაახლოებით 6 საათის მგზავრობის შემდეგ ქალაქ მოსულში მიგვიყვანეს. ავტობუსები გააჩერეს. ქალები სამ ნაწილად გაგვყვეს, ერთნი საქორწილო დარბაზში შეგვიყვანეს, მეორე ნაწილი - სადამ ჰუსეინის დროინდელ სასახლეში, ხოლო მესამე ნაწილი ახალგაზრდული ცენტრის შენობაში მოათავსეს... საქორწილო დარბაზში ლოგინები, წყალი და საჭმელი დაგვხვდა. მახსოვს, ერთმა ქალმა თქვა, - ერაყში ქალაქი სინჯარი აიღესო.



ბევრმა ტირილი დაიწყო, თუ რატომ, ამას გვიან მივხვდი. მეორე დღეს გაირკვა, რომ იმ დარბაზში 1 300-მდე ქალი ვიყავით. სამმა მეომარმა ჩამოგვიარა, ხელში სია ეკავათ. გოგონებს ადგომას გვაიძულებდნენ, გვეკითხებოდნენ, გათხოვილები თუ ხართ ან შვილები ხომ არ გყავთო. ამ ყველაფერს ინიშნავდნენ.

იმ დარბაზში ორი თვე გავატარეთ. ერთ დილას მოვიდნენ და ყველა გაგვიყვანეს. ვინც გაუძალიანდა, თმით გაათრიეს. გარეთ ავტობუსები გველოდა, მაშინ პირველად გავიგე სიტყვა "საბაია". ერთ მებრძოლს ვკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი. მონასო... კარგა ხანს გვატარეს. მიგვიყვანეს სირიის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში. აქ მოჯაჰედები აგვირჩევდნენ სათავისოდ... ერთ შენობაში შეგვყარეს, სადაც 500-მდე ქალი და მოზარდი დაგვხვდა. ყველაზე პატარა 11 წლის იყო, მე 15 წლის ვიყავი... როცა მყიდველები მოდიოდნენ, გოგონები ცალკე ოთახებში გაჰყავდათ, სადაც აშიშვლებდნენ და ათვალიერებდნენ, ყველას ეკითხებოდნენ, ფეხმძიმედ ხომ არ ხარო (მერე გავიგე, რომ მათი კანონებით ორსულთან სექსუალური კონტაქტი იკრძალება), მეც რამდენჯერმე გამიყვანეს, ბოლოს მიყიდეს და ვიღაც ბრძოლაში თავგამოჩენილ მეომარს საჩუქრად გადამცეს. ჩემი ტანჯვა პატრონის ხუშტურზე იყო დამოკიდებული, როცა გუნებაზე იყო, მეგობრებს ეპატიჟებოდა და ჩემი გაუპატიურების ნებას აძლევდა, ხანდახან რამდენიმე კაცსაც... თავად ყოველდღე მაუპატიურებდა, ძალადობის წინ და შემდეგ ლოცულობდა, თან მიჩიჩინებდა, - ეს გაუპატიურება არ არის, ეს ალაჰის სახელით კეთდებაო... ბევრი ქალი ვერ უძლებდა და თავს იკლავდა, ზოგს თავად კლავდნენ. მეც ალბათ იგივე მელოდა, რომ არა ერთი შემთხვევა. ერთ გოგოს ლიბიელი მეპატრონე ჰყავდა. ერთ საღამოსაც მას რაღაც ლამინირებული ქაღალდის ნაგლეჯი მისცა და უთხრა, - ამფეთქებლის ტრენინგი გავიარე, შაჰიდობას ვაპირებ და წადი, თავისუფალი ხარო (არადა, შეეძლო, მოეკლა). ის ქაღალდის ნაგლეჯი ე.წ. საშვი იყო, რომელიც უსაფრთხო გადაადგილების ნებას იძლეოდა... ასე გამოვიქეცით იქიდან".

### მონათა ბაზარი და თანამედროვე „შინდლერები“

2015 წლის 11 სექტემბერს მსოფლიომ ამერიკელი გოგონას, ქაილი მიულერის ამბავიც შეიტყო - საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელი 2013 წელს გაიტაცეს "ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა. რამდენიმე თვე აწამებდნენ და აიძულებდნენ, ეთქვა, ჯაშუში ვარო. ციხეშიც კი ჰყავდათ გამომწყვდეული, სადაც ის სამმა ქურთმა გოგომ გაიცნო (ისინი ციხეში წარუმატებელი გაქცევის შემდეგ მოხვდნენ). ისინი იხსენებენ, რომ ქაილი მიულერს ფრჩხილებიც კი დააძვრეს და ყოველდღე სცემდნენ, შემდეგ კი აბუ ბაქრ ალ ბაღდადისთან მიჰყავდათ და ის აუპატიურებდა. შემდეგ ქაილი მოკლეს. ქურთმა გოგონებმა გაქცევა მოახერხეს, ევროპაში ჩააღწიეს და მსოფლიოს მიულერის ტრაგედიის შესახებ ამცნეს...

"ისლამური სახელმწიფოს" მონები იეზიდი და ქრისტიანი ქალები არიან, ეს რელიგიური უმცირესობები მათ ტერიტორიაზე ადამიანებად არ ითვლებიან; და რადგან ადამიანები არ არიან, შეგიძლია, ყველაფერი გაუკეთო, რაც მოგეპრიანება. ქრისტიანების მიმართ შეუწყნარებლობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ რომის პაპმა ფრანცისკმა მას "სისტემური გენოციდი" უწოდა..

დღეს "ისლამური სახელმწიფო" მონათვაჭრობისგან დიდ შემოსავალს იღებს (ზოგიერთი მონაცემით, ის შავ არქეოლოგიაზე სარფიანია). დაპყრობილ ტერიტორიაზე მოსახლეობის"დახარისხებაზე და შემდეგ ქალების ტრანსპორტირებაზე სპეციალური შტაბები ზრუნავენ, ხოლო მათ გაყიდვაზე ან გამოსყიდვაზე - სხვა ჯგუფები.

მონათა ბაზარმა სირიაში თანამედროვე "შინდლერებიც" გააჩინა - სირიელი ბიზნესმენები ერთგვარ ვალდებულებასაც იღებენ, გამოისყიდონ ტყვე ქალები, ხოლო როცა მათი გათავისუფლება ფულით ვერ ხერხდება, საქმეში ქურთ მოხალისეთა ჯგუფები ერთვებიან და საბაიებს"გაქცევაში ეხმარებიან.

ყველა ყოფილი მონა ქალი ამბობდა, რომ ტყვეობიდან გაქცევის მიზანი იყო, საკუთარი თავგადასავლის მაგალითზე მსოფლიოსთვის "ისლამური სახელმწიფოს""ნამდვილი სახე ეჩვენებინათ. საბაია, რომელიც სირიაში ქალებისთვის ტანჯვას და სიკვდილს ნიშნავს, დღეს ცივილიზებულ სამყაროში მამაცი გულის სინონიმად იქცა.

### მონათა ფასი

სირიასა და ერაყში სექსუალური ძალადობის მასშტაბებით გაკვირვებას "ისლამური სახელმწიფოს" ზოგიერთი ლიდერიც ვერ მალავდა, თუმცა თანამოაზრეების გაკიცხვას ისევ ამ სისასტიკის დაკანონება არჩიეს - 2015 წლის ზაფხულში "ისლამურმა სახელმწიფომ" მონობა დააკანონა და სპეციალური ბროშურებიც კი გაავრცელა მონათა პატრონების უფლება-მოვალეობების შესახებ, მეტიც, მონათა ბაზარზე ფასებიც კი დააწესა:

ქალი 40-50 წლის - 50 000 დინარი

30-40 წლის - 75 000 დინარი

20-30 წლის - 100 000 დინარი

10-20 წლის - 150 000 დინარი

1-9 წლის - 200 000 დინარი.

მიღებული კანონი არ კრძალავს მოზარდთან სექსუალურ ძალადობას,"თუ მისი სხეული მზად არის სექსუალური აქტისთვის."სავარაუდო ასაკი 10 წლიდან იწყება; და კიდევ: ერთ მებრძოლს მხოლოდ სამი სექსმონის ყიდვა შეუძლია.

## თორნიკე გაბიდაური



ჩვენო თორნიკე, უკვე ორმოცი დღე გავიდა იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ. ამ დღეს ხომ 18 წელი შეგისრულდა. 17 დეკემბერი მოუშუშებელ იარად დარჩება თითოეული ჩვენგანის გულში.

ხანმოკლე გამოდგა შენი სხოვრების გზა რამდენიმე თვეშისკოლა უნდა დაგემთავრებინა. რა ცოტა იყო დარჩენილი მოსწავლეობიდან სტუდენტობამდე, მაგრამ არ დაგცალდა. ავმა ბედისწერამ მოგისწრო და მოულოდნელად შეაჩერა შენი გულისცემა. დროებით შეაჩერა სკოლის ცხოვრების რიტმი. ორმოცი დღე, რა მალე გაილია. ეს დღეები, მაგრამ, რაც დრო გადის კიდევ უფრო მეტად გაუსაძლისია ეს ტკივილი და მონატრება. უჩვეულიდ გამოემშვიდობა სკოლა ძველ 2015 წელსაც, ჩუმად, შეუმჩნევლად . აღარ ისმის მეთორმეტე კლასელების ხმაურიანი შეძახილები. ისინი ფეხაკრებით დადიან დერეფანში, თითქოს არ უნდათ მყუდროება დაურღვიონ შენს სულს. პატარებიც მოკრძალებით ჩერდებიან და შენ სურათს გასცქერიან, ყველას მოგვაკლდი მასწავლებლებს უჭირთ კლასში შესვლა,რადგან იქ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს გრძნობენ.

ალბათ ამიტომაც იყავი ასეთი კარგი.საუკეთესო საუკეთესოთა შორის. დიდხანს გვემახსოვრება ყველას შენი სიკეთით სავსე სახე,თბილი გული,ამაყი, მაგრამ სიყვარულით სავსე გამოხედვა .ვაჟკაცური,მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული,მაგრამ ამავე დროს იუმორით სავსე.

ანგელოზად მოევლინე და ანგელოზადვე დარჩი. თორნიკე, შენ ჩვენს ბავშვებს ასწავლე,რომ უნდა გაუფრთხილდნენ ,აპატიონ, მიუტევონ ერთმანეთს.შენ მათ სიყვარული ასწავლე.18 წლის ბიჭს მეტი რა უნდა გაეკეთებინა.

ნაადრევად დაირეკა შენთვის ბოლო ზარი მაგრამ, განსხვავებით, შენ უფლისკენ სავალ გზაზე დადექი.

იძინე მშვიდად, ჩვენო ვაჟკაცო, მსუბუქი იყოს შენთვის ეს მიწა.დაე, შენთვის ანთებულმა თითოეულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისკენ!

**პატივისცემით,**
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ია ბუნტურს დედის

ნათელა ბუნტურის

გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მანანა სისაურს მამის

რევაზ ბოსტოლანაშვილის

გარდაცვალების გამო.

იცოდით, რომ რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი მხატვარიც იყო? ის თუ გსმენიათ, რომ მას ჩვენი "თამარის ციხე" დაუხატავს? ალბათ ბევრი თქვენგანისთვის ეს ნამდვილი აღმოჩენა იქნება.

თქვენს წინაშეა დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის ნახატი "სოფელ ყარალაჯის შემოგარენი", რომელზეც კარგად მოჩანს "ხორნაბუჯი", იგივე "თამარის ციხე".

ისტორია, თუ როგორ იხილა პოეტმა ხორნაბუჯის ციხე, ასეთია: 1837 წელს ალექსანდრე პუშკინის მკვლელობის შემდეგ მიხეილ ლერმონტოვმა დაწერა ლექსი "პოეტის სიკვდილი", რამაც მას აღიარება მოუტანა ფართო საზოგადოებაში, მაგრამ მეფის მთავრობამ ეს ლექსი რევოლუციისადმი მოწოდებად ჩათვალა და აკრძალა, ხოლო თავად პოეტი 1837 წლის თებერვალში კავკასიაში, კერძოდ კი სოფელ ყარალაჯში განლაგებულ ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში იქნა გადაყვანილი პრაპორშიკად (ამ პოლკს დისლოკაციის ადგილი დედოფლისწყაროშიც ჰქონდა).

იმ ფაქტს, რომ პოეტი მხატვრობასთანაც არ იყო მწყრალად, მოწმობს მისი წერილი შორეულ ნათესავთან და თანამოაზრესთან-სვიატოსლავ რაევსკისთან, რომელიც მიხეილ ლერმონტოვის ლექსის "პოეტის სიკვდილის" საზოგადოებაში გავრცელების ბრალდებით იქნა შერისხული და გაძევებული ოლონეცის გუბერნიაში. მოკლე ამონარიდი წერილიდან: "... ბოლოს მე ისევ დამაბრუნეს გვარდიაში, ოღონდ გროდნოს პოლკში... სიამოვნებით დავრჩებოდი აქ, ვინაიდან საეჭვოა, რომ პოსელენია (პოსელენია ეწოდება იმ ადგილს ნოვგოროდის მახლობლად, სადაც გროდნოს პოლკი იყო დაბანაკებული) უკეთესი იყოს, ვიდრე საქართველო...მე საჩქაროდ გადავიღე ყველა იმ შესანიშნავი ადგილის სურათი, რომელსაც კი ვესტუმრე და სურათების გვარიანი კოლექცია მომაქვს თან". და ერთ-ერთზე ამ სურათთაგან სწორედ ჩვენი "ხორნაბუჯია" გამოსახული. შეიძლება ითქვს, რომ მიხეილ ლერმონტოვი ორიგინალიდან იხატავდა თავის სურათს. სხვათა შორის, ეს სურათიც განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ძველად დიდი საქარავნო გზა სწორედ დედოფლისწყაროზე გადიოდა.

# ჩავეხუტოთ ერთმანეთს!

მსოფლიო 21 იანვარს ჩახუტების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

ჯუან მანი — ესაა სახელი და გვარი პიროვნებისა, რომელსაც მსოფლიოში ფრიად პოპულარული „უანგარო ჩახუტების" აქციის იდეა სპონტანურად დაებადა.

ავსტრალიელი ჯუანის ცხოვრებაში ერთ მშვენიერ დღეს დადგა დრო, როცა პირადი პრობლემების გამო იძულებული გახდა, ლონდონიდან მშობლიურ ქალაქ სიდნეიში დაბრუნებულიყო. მას იქ უკვე არავინ ელოდა. არც ისეთი ჰყავდა ვინმე, ვისაც დაბრუნებით გაახარებდა:

„არავისთან შემეძლო დამერეკა და ჩემი დაბრუნებით გამეხარებინა. ჩამოსული მგზავრების ტერმინალში დიდხანს ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ეხუტებოდნენ ჩამოსული და დამხვედრი, წამსვლელი და დამრჩენი ადამიანები ერთმანეთს. ძალიან მინდოდა, ყოფილიყო ვინმე ისეთი, ვინც ჩემი ჩამოსვლით გაიხარებდა, გამიღიმებდა და ჩამეხუტებოდა", — იხსენებს ჯუანი.

იდეა სპონტანურად დაებადა: აიღო მუყაოს მოზრდილი ნაგლეჯი, მარკერი და დიდი ასოებით დააწერა: FREE HUGS (უანგარო ჩახუტება). მერე ყველაზე ხალხმრავალ უბანში გავიდა. წარწერა ორივე მხრიდან იკითხებოდა და გრძნობდა, როგორ უცქერდნენ გამვლელები უცნაურ ახალგაზრდას: ზოგი ათვალწუნებით, ზოგი ირონიული ღიმილით, ზოგი კი, უბრალოდ, მზერას არიდებდა.

„უცებ, ვიგრძენი, რომ ზურგიდან ვიღაც შემეხო და მოვტრიალდი. ჩემს წინაშე დაბალი მოხუცი იდგა, რომელმაც დაიწყო მოყოლა, როგორი ძნელი დღეები უდგას, როგორ უჭირს, რადგან შვილი დაეღუპა ავტოკატასტროფაში. მას ხმა უკანკალებდა. მე ჩავიმუხლე, ხელები გავშალე და ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტეთ ისე, რომ ორივე ვტიროდით. მაგრამ ეს შვების ცრემლები იყო", — ამბობს ჯუანი.

შემდეგ კი მასთან უამრავი ადამიანი მივიდა, ისინი ეხუტებოდნენ და გულიანად იღიმებოდნენ.

ჩახუტების საერთაშორისო დღე კი 1985 წლიდან აღინიშნება, რაც Chase's Calender - ში ყოველწლიურ მოვლენად შეიტანეს. მისი დამაარსებელია მიჩიგანის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრი და ბოსტონის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების მაგისტრი კევინ ზაბორნია, რომელსაც ჩახუტების ამბასადორსაც უწოდებენ.

ჩახუტების აქცია მთელ მსოფლიოს მოედო და მას ყოველწლიურად 21 იანვარს აღნიშნავენ.

უამრავი კვლევა არსებობს იმის დამადასტურებლად, რომ ადამიანის შეხება, ჩახუტება პოზიტიურ გრძნობებს იწვევს, კარგ ხასიათს იწვევს და ემოციურ და სულიერ სიხალისეს ანიჭებს ყველას. ამიტომ, შევუერთდეთ ჩახუტების საერთაშორისო დღეს და გავახაროთ ერთმანეთი ბედნიერები.

## ულოცავენ!

**ქეთევან ნოზაძეს!**

**კახა ჯალიაშვილს!**

სუპერმარკეტ „უნივერსალის" თანამშრომლები

ქეთევან ნოზაძეს და კახა ჯალიაშვილს ულოცავენ შვილიშვილის-კახას დაბადებას. პაპის მოსახელე სწორედ მის დაბადების დღეზე მოევლინა ქვეყნიერებას და უფროს კახას ყველაზე საუკეთესო საჩუქარი გაუკეთა. ვისურვებდით, რომ მათ ოჯახს სულ ასეთი სიურპრიზებით აღსავსე ცხოვრება ჰქონოდეთ, პატარას კი ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებთ.